№ 20

ხუთშაბათი, 27 იანვარი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 20

ხუთშაბათი, 27 იანვარი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ქ. ბაქოში 25 იანვარს გარდაცვალებულის

## თავ. ალექსანდრე დავითის ძის ჭავჭავაძის

სულის მოსახსენებლად დღეს, 27 იანვარს, იქმნება გარდახდილი პანაშვიდი თავ. ორბელიანთა სასახლის ეკკლესიაში. პანაშვიდი დაიწყება ნაშუადღევს 1 საათზედ.

დასაფლავების დღე ცალკე იქმნება გამოცხადებული.

(1—271—1)

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 27 იანვარს, 1900 წ.

ბენეფისი გ. გ ე დ ე ვ ა ნ ო ვ ი ს ა.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება არტისტ **ვ. ალექსი მესხიშვილის** მონაწილეობით პირველად განახლების შემდეგ

## ურიელ-აკოსტა

ტრაღ. 5 მოქ., გუცკოვისა, თარგ. ი. ბაქრაძის-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, ნებიერიძისა, ბ-ნნი ვლ. მლექსი-მესხიშვილი, კ. ყიფიანი, სიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და სხვ.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია.** დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი.**

გოლოვინის პროსპექტზედ, სამგზავრო ფოსტის პირდაპირ, თავ. არღუთინსკი-დოლგორუკის სახლში ახლად გაემართე ევროპიულ გემოვნებაზედ მოწყობილი

## საპარიკ-მახერო „ა რ ს ე ნ ი“

(5—248—4)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ვაადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სდოსტაქრო, ვენერიული (სიფილის) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^1/_2$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову

(—1—წ).

## ე ქ ი მ ი
## კ. ი. გძელიშვილი

მ ი ი ღ ე ბ ს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—84)

ოცდა თერთმეტს ამა იანვარს, დილის ათს საათზედ, მოხდება

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სათადარიგო საგანგებო კრება

ტფილისის სათავად-აზნაურო დეპუტატთა საკრებულოს სადგომში. კრებამ უნდა შეიმუშაოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ თავად-აზნაურობას ეპატიოს ის ჯარიმა, რომელიც დააკისრეს საეროში გარდასახადის შეტანის დაგვიანების გამო. ამას გარდა კრებამ უნდა მოილაპარაკოს იმის შესახებ, როგორ უნდა გაუმჯობესდეს თავად-აზნაურთა მამულების დაფასებისა და შემოსავლის გაძლიერების საქმე.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი გენერალ-მაიორი საგინაშვილი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**ბ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^1/_2$—12 საათ.

**ე. პ. გაუდელინი.** 11—12 ს. ყოველ დღე, გარდა შაბათისა შინაგანი და ბავშვების ავად.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უმიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12—1 სადოსტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## მთავრობის განკარგულებანი

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: გორის სამაზრო სამმართველოს მდივანი კოლეჟსკი-სეკრეტარი გ ო გ ო ხ ი ა—ხიდისთავის ნაწილის პოლიციის ბოქაულად. აზ. ნიკოლოოზ მ დ ი ვ ა ნ ი—ტფილისის სახაზინო პალატის შტატ გარეშე საგანგებო საქმეთა მინდობილების მოხელედ.

დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან, თავიანთ თხოვნის თანახმად, გორის სამაზრო პოლიციის სამმართველოს საქმის-მწარმოებელი გიორგი ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი და ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიის მოხელე თავ. მიხეილ გ ე დ ე ვ ა ნ ი შ ვ ი ლ ი.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 27 იანვარს, ქართულ თეატრში დამსახურებულის არტისტის გ. გედევანოვის ბენეფისია დანიშნული. წარმოადგენენ გუცკოვის შესა-

## ფელეტონი

### „მე ის მეგონა“!..

(პაწია ამბავი)

I

უეცრად გავარდა ტყვია და დაიძახეს,—კაცი მოჰკლესო...

სისხლში ამოწუმპული ტყვიის წერა დედამიწაზედ ეგდო, კაცის მკვლელი-კი პოლიცელებს შეებოჭათ...

მკვლელს სახე შეშლილი ჰქონდა, რაღაცნაირ განცვიფრებით დაჰყურებდა მკვდარს და სინანულის კილოთი გაიძახოდა:

— „მე ის მეგონა... მე ილო მეგონა და დახე, ეს ვინ მოვკალი... ეს ხომ სიკოა“?!.

შესაძლებელია მკვლელს ვერც-კი ეცნო მკვდარი სიკო, მომაკვდავ სიკოს რომ არ შეებღავლა.

— „რა დაგიშავე, რაზე მკლავო“?..

. . . . . . .

მკვლელს თავი ციხისკენ უკრეს, საბრალო სიკოს გვამი ჩასდეს ეტლში და ღედისაკენ გააქროლეს...

II

სიკო და ილო მეგობრები იყვნენ. ერთმანერთს ისე ჰგავდნენ, გეგონებოდათ ტყუპები არიანო. ტანსაცმელსაც თითქმის ერთნაირს იცვამდნენ და ძნელად თუ კაცი გაარჩევდა —ვინ რომელი იყო. ერთის ტანისა და ერთის ფერისა სიკო და ილო მხოლოდ ლაპარაკითა და ხასიათით განირჩეოდნენ: სიკო უფრო დინჯი და წყნარი იყო, ილო-კი ქარაფშუტა და მოქეიფ-მოლხინე.

— კაცო, ხანდისხან გაეხუმრებოდა ხოლმე ილო: ჩვენ ისე ვგევართ ერთმანეთს, რომ... იმ დღეს შენმა მაჭანკალმა დამიჭირა და შენ მაგივრად მე მირიგებდა ქალს...

— ეგ რა გიკვირს,—მიუგო სიკომ: შენის მოვალეებისაგან მოსვენება აღარა მაქვს: იმ დღეს ერთი ვაჭარი დამემუქრა: თუ არ გამისწორდები გიჩივლებო“...

— ხა, ხა, ხა!..

. . . . . . .

III

— „ამევსო მოთმინების საწყაო,— სწერდა ვიღაცა ილოს და სახელგვარს-კი არ აცხადებდა: რახან არ იშლი და მიშხამებ წუთი-სოფელს, ნურას უკაცრაოთ, რომ სამაგიეროს მეც გადაგიხადო... შენმა საზიზღარმა საქციელმა სახლ კარი შემაძაგრა და მხეცსავით დავეხეტები... ცხოვრებაზედ გული ავიყარე და სინდისზედაც ხელი ავიღე, მხოლოდ ერთად ერთი გრძნობა შურის-ძიებისა შემრჩა... იცოდე: რომელმა გველმაც დაგშხამოს, მე ვიქნები... ჩემ გულის წყრომას თუ ვერ მიჰხვდები, მაინც განიშნებ: ქურდი ხარ, რადგან სიამოვნება მომპარე“.... . .

. . . . . . .

ილო თითქო ვისთამე პირშავიაო და ენიშნაო, რასაც სწერდნენ, ტუჩებს იკვნეტავდა... და, თითქო რიღასიც შეეშინდაო, ცახცახი დაიწყო...

— ჩემს დარიგებას თავისი ცოლი დაარიგოს, ისა სჯობია,—დაბნეულად წაიდუდუნა ილომ: მე აინუნში არცკი მომდის, ძალად დამიმეგობრდა და ჩემი რა ბრალია?!.

. . . . . . .

IV

რაც ენახათ და როგორსაც იცნობდნენ, ის ზალიკო აღარ იყო: აღარც შუბლ-გაშლილობა ეტყობოდა და აღარც მხნეობა, თითქო სულით დაცემული კაციაო, ისე ყურებ-დაშვებული და წელ-მოწყვეტილი დადიოდა...

თვალში აღარავინ აღარაფრად მოსდიოდა და არც არავის ეკარებოდა.

— ოჰ, შეჩვენებულო ილო!— ამოიკვნესებდა ხოლმე ხშირად: ღმერთმა შენი ჯავრი ნუ შემაჭამოს!..

მიზეზი ზალიკოს სასოწარკვეთილებისა ბევრისთვის აშკარა იყო: მეზობლებმა იცოდნენ, რომ... ცოლმა თავისი ქმარი ზალიკო სხვაზედ გასცვალა და... სირცხვილს ზალიკო ველარ იტანს, ველარ ინელებსო... მეზობლებმა ისიც-კი იცოდნენ, რომ... ზალიკო ილოს დაეძებდა მოსაკლავად.

. . . . . . .

V

ზაფხულის საღამო ხანი იყო. ზოგი საქეიფოდ და ზოგიც გასაგრილებლად ბაღებისკენ მიდიოდნენ.

სიკომაც დღეს უნდა ქალი გასინჯოს ბაღში და თუ მოეწონება ჯვარს დაიწერს... ადრევე თავისი დედა გაჰგზავნა და თითონაც სახლიდგან გამოვიდა და მიდის...

— ოხ, ეხლა-კი მეშველა,—წაიბუტბუტა ზალიკომ და ხელი გაიკრა დამბაჩისკენ, თავისკენ მიმავალი სიკო რო დაინახა: დაგიდგა აღსასრულის დღე, შე უბედურო!..

ტყვია გავარდა და სიკომ ორის სიტყვის თქმა-ღა მოასწრო:

— რა დაგიშავე, რაზე მკლავო?!.

. . . . . . . . . . .

ზალიკო სამსჯავროს წინაშეც ჯავრით სულ თავ-პირში იშენდა და ამის მეტს ვეღარას ამბობდა:

— „მე ის მეგონაო... მე ილო მეგონაო, სიკო ყოფილიყოო!“..

დუშელი ვანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნავ ტრაგედიას „ურიელ-აკოსტას“. მთავარ როლს ვლ. ალექსი-მესხიშვილი შეასრულებს.

*** როგორც გვატყობინებენ, ჩვეულებრივი ქართული საღამო ქ. ბაქოში შაბათს, 29 იანვარს იქმნება გამართული. ამ საღამოსთვის ტფილისიდგან მიწვეულნი არიან ქ-ნი: ელ. ჩერქეზიშვილისა, ანასტასია აბაშიძე და ბ-ნი აბაშიძე. წარმოადგენენ ავქ. ცაგარლის პიესას „ბაიყუშს“.

*** სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროსს ზედამხედველს ბ ნ ჯაბადარს ქალაქის გამგეობაში წინადადება შეუტანია იმის შესახებ, რომ ქალაქის ხარჯით გამართულ იქმნას საქონლის სადგომი ბაკები იმ ადგილის მახლობლად, სადაც საკლავ საქონლის ბაკია. ბ. ჯაბადარის გამოანგარიშებით, ქალაქს 10 ათასი მან. შემოსავალი ექმნება წელიწადში ამ ბაკების იჯარით გაცემით.

*** ბ-ნი მ. ო. ფიშერი, რომელიც დამტკიცებულ იქმნა ფინანსის მინისტრისაგან ტფილისის მომავალ კომერციულ სასწავლებლის დირექტორად, თებერვლის პირველს რიცხვებში ოდესიდგან ჩამოვა ტფილისში და შეუდგება მომავალ სასწავლებლის მასწავლებელთა შტატის შედგენას.

*** იტალიისა და ავსტრიის ქვეშევრდომთ გალი კონსტანტინს და იოსებ სტეცს განცხადება შეუტანიათ ქალაქის გამგეობაში, რომელშიაც ამბობენ, თუ გამგეობა მოისურვებს, შეგვიძლიან ქალაქის ქუჩების მოსაკირწყლავად საუკეთესო თვისების ქვა დავამზადოთო. ქვის მოტანა განუზრახავთ ქუთაისის გუბერნიის სოფელ კურსებიდგან. ამასთან კონსტანტინი და სტეცი თხოულობენ, რომ ქვის გადმოსატანი ხარჯი ქალაქმა იკისროს და გადმოტანილ ქვის თითოეულ კუბიკურ საჟენში 15 მანეთი გარდაიხადოს.

*** ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ბ-ნი ფერსმანი დანიშნულ იქმნა ტფილისის სასამართლო პალატის წევრად.

*** როგორც „ტფ. ფურც.“-ს ატყობინებენ, იმ განსაკუთრებულ კომისიას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქ. ბათუმის მახლობლად ნავთის ქალაქის გამართვის შესახებ მოხსენების შედგენა, უკვე შეუდგენია ეს მოხსენება, რომელიც ამ ახლო ხანში მინისტრთა კომიტეტს წარედგინება განსახილველად.

*** ოსთა ინტელიგენცია, რომელმაც გამოსცა ოსურს ენაზედ ლექსებისა და ზღაპრების კრებული „გალაბუ“, შეუდგა ხალხურ თქმულებათა, გამოცანებთა და სხ. მოკრებას. უკვე მოუმზადებიათ დასაბეჭდათ „კრებული ოსურის გამოცანებისა“. („ტფ. ფურც.“)

*** ტფილისის გუბერნატორს დასამტკიცებლად წარუდგინა ქალაქის მოურავმა საბჭოსაგან მოწონებული პურისა და ხორცის ნიხრი.

*** დიდის მთავრის (წყლის პირას) ქუჩის კედლის გამაგრებას, როგორც გუშინ გვქონდა მოხსენიებული, ჩვენის აზრით, უფრო მაშინ ექმნება მნიშვნელობა, თუ ამ ადგილზედ მტკვრის კალაპოტი გასწორდება და წყალი ისევ ძველს თავის გზაზე წავა. თითქმის ერთი წელიწადი იქმნება, რაც წყალმა ეს აქეთა ნაპირი დასტოვა ასე ათის საჟენის სიგანეზე და მადათოვის კუნძულისაკენ გადავიდა, საითკენაც მიწა ნაყარია, რასაც წყალი ადვილად აქცევს; ასე რომ, მოსალოდნელია გაზაფხულის წყალდიდობამ დიდი ზარალი მიაყენოს მადათოვის კუნძულს. რომ რაიმე უბედურება ან ზარალი წყალ-დიდობისაგან აცილებულ იქმნას საჭიროა, მტკვრისაგან მიტოვებული ნაპირი საგანგებოდ იქმნეს გაჭრილი რომ წყალმა არინდულად სწორი მიმდინარეობა მიიღოს.

*** როგორც ქალაქის საავადმყოფოს ავლაბრის განყოფილების ანგარიშიდგანა სჩანს, ამ საავადმყოფოსთვის წარსულ 1899 წელს შემწეობისათვის მიუმართავს 7,060 ავადმყოფს, აქედგან 1,487 მამაკაცს, 2248 დედაკაცს და 3325 ბავშვს. ქართველი 2358 ყოფილა, რუსი 561 და სომეხი 3994.

*** ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ 26 დეკემბერს თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში გამართულ საბავშვო ბალის ანგარიში. შემოსავალი ყოფილა 398 მან, 73 კაპ. ხარჯი: მუსიკა—18 მან., ბუფეტის მოწყობა—55 მ. 57 კ., სტამბასა და მარკებზედ—8 მ., სხვა წვრილმანი ხარჯი—20 მან. სულ 101 მან. 57 კაპ. დარჩენილა 297 მ. 16 კ.

*** ქუთაისი. წარსულის წლის 22 ოქტომბერს, საკრებულო ტაძრის დეკ. ბ. ცაგერეიშვილის თაოსნობით, შეკრიბა ქალაქ ქუთაისის სამღვდელოება. შეკრების მიზეზი ის იყო, რომ ერთმანეთ შორის შეწირულება გამოეღოთ მცხეთის ტაძრის განახლებისათვის. დეკ. ბ. ცაგერეიშვილმა გამოიღო 50 მან., დეკ. ი. ჭეიშვილმა—20 მან., დეკ. რ. გოგაურმა 20 მან., დეკ. კიკაჩეიშვილმა 5 მ., დეკ. ჟანდიევმა 5 მან., საქალებო გიმნაზიის მღ. ა. გიორგაძემ 50 მან., მღ. მ. კელენჯერიძემ 25 მან., მღ. ნ. ყუბანეიშვილმა 10 მან., მღ. ნ. შვანგირაძემ 10 მ., მღ. ი. შავლაძემ 20 მ., მღ. ი. აბესაძემ 12 მ., მღ. გ. კაზანაძემ 10 მ., მღ. გ. დოლაბერიძემ 10 მ., მღ. ს. ლეკვეიშვილმა 10 მ., მღ. მ. ცაგარეიშვილმა 10 მ., მღ. ფ. ფხაკაძემ 8 მ., მღ. ნ. გიორგაძემ 5 მ., მღ. ლ. გაჩეჩილაძემ 5 მ., მღ. მ. მესხმა 5 მ., მღ. მათიკაშვილმა 5 მ., მღ. დ. შელიავამ 1 მან., არხი დიაკონმა კუხიანიძემ 5 მ., დიაკ. ტ. მესხმა 4 მან., დიაკ. ი. სვანიძემ 4 მან., დიაკ. ი. ჭარხალაშვილმა 4 მან., დიაკ. მ. ანანჩენკომ 1 მ., დიაკ. ტ. დოლიძემ 1 მან., იპოდიაკ. ო. ჭიპაშვილმა 4 მ., იპოდიაკ. ნ. წერეთელმა 4 მან., მედავითნე ი. კოკელაძემ 5 მ., მედ. ლ. კაზანაძემ 3 მ., მედავით. ა. ჭიპაშვილმა 5 მ., მედ. თ. დემეტრაშვილმა 1 მან., მედ. ა. ადამიამ 2 მ., მედ. ივან. განდელაკმა 2 მ., მედ. ი. მოდებაძემ 1 მან., მედ. ლ. ცერცვაძემ 1 მან., მედ. ო. სვანიძემ 1 მან., მედ. მგბენი ჭარხალაშვილმა 1 მ., მედ. ნ. ჭირაქაძემ 60 კაპ. სულ 345 მ. 60 კ.

*** ტფილისის მცხოვრებელი 21 წლის ქალიშვილი ლიუდმილა ლ.—ორშაბათს, 24 იანვარს მტკვარზე მუხრანსკის პარომით გადასვლის დროს უცაბედად ჩავარდა წყალში და კინაღამ დაირჩო, მაგრამ მალე მიეშველნენ იქვე მყოფნი ვ. გოლკუნოვი, ი. ბოროდინი, ვ. ჟდანოვი და ი. პორტიკოვი და გადაარჩინეს დარჩობას.

*** ამ დღეებში ტფილისზედ გაიარა ერთმა განათლებულმა ქართველმა მაჰმადიანმა, არზრუმის მცხოვრებმა, ხოლო თორთომის ხეობელმა გვარად პეტრიძემ, დედით ბერიძემ. ეს განვითარებული ქართველ მაჰმადიანი არზრუმის ოსმალის ვექილი ყოფილა—ნარიმანი. მან კარგად იცის საქართველოს ისტორია.

*** ამ დღეებში ჩვენ ვნახეთ ერთი მეტად მშვენიერი ქართული ხელთნაწერი, ვრცელი ლოცვანი, რუსულიდგან ქართულად ნათარგმნი მეფის ირაკლის მეორის ძის ალექსანდრე ბატონიშვილისაგან. როგორცა სჩანს, ალექსანდრე ბატონიშვილს რუსული წერა-კითხვაც კარგად სცოდნია, ხელთნაწერი მშვენივრად არის ნაწერი და ნათარგმნიც მეტად კარგი და ლაზათიანია. ალექსანდრე ბატონიშვილის ბიოგრაფიისთვის მეტად საინტერესო მასალაა ეს წიგნი.

*** ზემოჩიბათის წმ. გიორგის ეკკლესიაში არხიმანდრიტის გერასიმეს მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებლად.

*** ს ო ხ უ მ ი. 19 იანვარს აქაურმა ქართველებმა გარდაიხადეს პანაშვიდი განსვენებულის გიორგი წერეთლის სულის მოსახსენებლად. საკრებულო ტაძარი სავსე იყო ხალხით, პანაშვიდის გათავების შემდეგ, დეკანოზმა მამა მაჭავარიანმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც მადლობა გამოუცხადა ხალხს მისთვის, რომ ქართველობას სოხუმში ცოტა გამოღვიძება დაეტყო. ადგილობრივ ქალთა პროგიმნაზიის შეგირდებმა ფული შეაგროვეს გვირგვინის გამოსაგზავნათ, მაგრამ რადგან გემმა დაიგვიანა, ამ ფულს სხვა დანიშნულებას აძლევენ განსვენებულის სახელით.

*** ტფილისის მცხოვრებელმა მიხ. დუანატოვმა 23 იანვარს დილის ცხრა საათზედ სახაზინო ქუჩაზედ 15 მან. ამოაცალა ჯიბიდგან ვილაც მამედ-ალიხან-ოღლის. ჯიბგირი დაიჭირეს.

---

## გ. წერეთლის გვამის დასაფლავების დროს წარმოთქმული სიტყვანი:

გრ. ვოლსკის მიერ.

ჩვენის ცხოვრების და მწერლობის ეგლითა და ღვარძლით მოფენილს, მწირ ყანას მოაკლდა ერთი მხნე და დაუღალავი მუშვეური, ამ ყანის მუშაკთა ისეც მცირე გუნდს—ერთგული მუშაკი და ცხოვრების უმადურ ვითარებასთან მებრძოლ რაზმს—გულ-გაუტეხელი მებრძოლი. თუ ძნელია და თითქო დაუძლეველიც ჩვენი ახლანდელი ცხოვრების ვითარება, თუ ძნელია და ხან და ხან აუტანელიც ამ ვითარებასთან მისდა მარეულ შეაცვლელად პირ-ახდილი და პატიოსანი, თავისის აზრისა და რწმენის დაგვარი გამგლავება, ტყრიმის რაინდულად მიტანა, ადგილი წარმოსადგენია, რაზომ ძნელი უნდა ყოფილიყო ამ გვარის ბრძოლის გამოცხადება ამ ოცდაათ-ორმოციოდე წლის წინად. თუ ამ ბრძოლის სიმწვავე, გულის ჭრილობა მწარე, ნაღვლიანის ამონაკვნესით ახლაც გვათქმევინებს ხოლმე გუნებაში: „მიუტევე, უფალო, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“.. თუ ხშირად ახლაც ემლევა ჩვენის ცხოვრების მოღვაწე სასოწარკვეთილებას, ადვილი წარმოსადგენია, რაოდენი სულის სიმხნე და რწმენის სიმდიდრე იყო საჭირო იმ დროს, როცა პირველად გამოდიოდნენ ჩვენში სააასპარეზოდ ნეტარ-ხსენებული გიორგი და იმისი ამხანაგნი, მაშინ ნორჩნი და ძალით აღსავსენი, აწ უკვე მცხოვანნი.

საქმეთა გავიხსენოთ, რომ იმ დროს ხელმწიფობდა ავად მოსაგონარი ბატონ-ყმური კავშირი, იყო იმის სრული, განუყოფელი ძალი და სუფევა.

ასეთს ვითარებაში მყოფს დიდი სულის ძალა ნიჭი სჭირია, დიდი რწმენა-აზრის სიმდიდრე-მჩქეფობა, დიდი შარავანდედით მოსილი ბუნება, რომ სამარის კარამდის შერჩეს სასოება და გაუტეხელი გული.

სწორედ ასეთის ბუნების კაცი იყო განსვენებული გიორგიც.

უამური და საგმობია კერძო ადამიანი, როცა, მგელის აღთქმის ქამოსებრ, საამით ხედავს და სჩხრეკს სხვის მოქმედება-ცხოვრებაში მარტოოდენ კაცურ ბუნებასთან დაყოლილს, წვრიმალ ნაკლსა და ცხოვრების გზაზე მალა-უნებურ ბორძიკს.

უმადურობა, მადლის დავიწყება კაცთა ბუნების უუსაზიზღრესი თვისება. საზიზღარია და გადაშენების ღირსი ის ერიც, რომელიც დაივიწყებს თავის ერთგულ შვილთა სულიერ ნამუშაკევს და განწირულის სულის კვეთებას. წმინდაა მცირედი ღვაწლიც სამშობლოს საკურთხეველზე წმიდის გულით შეწირი, ხოლო განსვენებულის გიორგის ღვაწლი არა მცირედია. ჩვენის ცხოვრების ყანაში, სადაც სამკალი მრავალია, ხოლო მუშაკი ყოვლად არა, გიორგი იყო მამულის ერთგული და მადლიანი მოჭირნახულე. მე არ შევეხები იმის მრავალ გვარს მოღვაწეობას, გავიხსენებ ოღონდ ღვაწლს იმ კუთხის შესახებ, რომლისგანაც მხვდა წილად უკანასკნელის გამოსათხოვარის სალამის მიძღვნა.

საქართველოს ეს კუთხე გახლავთ აჭარა-ქობულეთი ანუ ბათუმის მხარე, რომელიც ამ ოციოდე წლის წინად ქართველობას დაკარგული ეგონა და თავისის მამულის საზღვრად რიონის შესართავი მიაჩნდა. განსვენებულმა გიორგიმ, მარადის ჩვენის ერთობის მქადაგებელმა, თითქო ხელ-ახლად კოლუმბივით აღმოაჩინა ეს მხარე და დიდი ღვაწლი დაგვდო იმის შემოერთების დროს ორ სხვა პატიოსან მამულის შვილთან ერთად, თავისს სეხნია გიორგი ყაზბეგთან და ნეტარ-ხსენებულ გრიგოლ გურიელთან, რომელიც წარმოადგენდა ნამდვილ ტიპს მხლებურის მადლიანის ქართველისას.

ფიზიკურად შემოერთების შემდეგ ის მუდამ სცდილობდა დანარჩენ მოძმეებთან ამ ხრის სულიერად შემოერთებასაც.

ყველაფერი რომ დაივიწყოს ქართველმა ერმა გიორგის ნამუშაკევიდამ, ეს კუთხე მარადის მადლობით მოიხსენიებს იმის სახელს. საუკუნო იყოს ხსენება მისი.

---

## წერილები ახალქალაქის მაზრიდგან.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

VII

ჩვენ მისვლისას ჯავახეთს, დაზარალებული ხალხი დაღონებული და დაძმარებული დაგვხვდა. წამოსვლისას-კი ხალხს გული მოეცა, წელში გაიმართა და თამამად იყურებოდა. ასეთი ორი სხვა-და-სხვა ნაირი, ერთი მეორის სრულიად წინააღმდეგი სულის ვითარება არც საკვირველია. გული როგორ არ გაგიტყდება, როცა დედამიწა მუდამ ირყევა, ფეხქვეშ გეცლება და საქანელასავით ჰქანაობს. ქვითკირის შენობანიც ველარ უძლებდა მიწის რყევას და აბა რასაკვირველია, რომ ხალხი შიშის ზარს მოეცვა. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ხალხი საშინლად აზვიადებდა მომხდარ უბედურებას და დარწმუნებული იყო, რომ ღვთის რისხვა მოგვევლინა თავს ცოდვილთაო. გაუნათლებელი ხალხი რა გავამტყუნო, როდესაც განათლებულნიც იმათზედ ნაკლებ არ იყვნენ შეშინებულნი.

პირმა შეჩვევა იცისო, რომ იტყვიან, სწორედ ასე მოუვიდათ დაზარალებულ ჯავახებს. ბოლოს მიწის რყევასაც შეეჩვივნენ და დამშვიდდნენ. დამშვიდებას ხელი შეუწყო კიდევ იმან, რომ, ჯერ ერთი, მიწის-ძვრას უბედურება აღარ მოსდევდა; გაითამაშებდა დედამიწა და ეგ იყო და ეგა. არც ხალხი ზარალდებოდა, არც საქონელი. მეორე, მრავალი ღონისძიება იქმნა მიღებული გუბერნატორის მიერ ხალხის საშველად და დასახმარებლად. ასეთი მზრუნველობა ხალხს ნუგეშს აძლევდა და გულში იმედს უღვივებდა, რომ გაჭირვებაში ღვთის ანაბარად არ დაგვტოვებენო. მესამე, დიდი თანაგრძნობა გამოუცხადა დაზარალებულთ საზოგადოებამ, რომელმაც გაჭირვებულთ მოაშველა პური, საცმელი, ფული და აღმოუჩინა სხვა მრავალი დახმარება. მაგრამ ყველაზედ დიდად გაახარა დაზარალებული ხალხი ხელმწიფის წყალობამ.

გაზეთებიდგან უკვე მოგეხსენებათ, რომ ხელმწიფე იმპერატორმა „შეიტყო თუ არა, რა უბედურებაც ეწვია ახალქალაქელებს, 50,000 მანეთი ფული შესწირა დაზარალებულთ დასახმარებლად. ამ უხვმა წყალობამ ფრთები შეასხა დაღონებულს მკვიდრსა და ბრწყინვალე იმედები გაუღვიძა ბედნიერის მომავლისა. დიდი უნდა იყოს სიხარული იმ კაცისა, რომელიც, ყველასაგან მივიწყებული, ბედს იწყევლის სადმე მივარდნილს, თოვლითა და ყინულით დაფენილს კუთხეში და უცბად კი შეიტყობს, რომ ისიც ახსოვთ და არა თუ ახსოვთ, გაჭირვების დროს მზრუნველობასაც იჩენენ.

ხელმწიფის წყალობის გამოცხადება დანიშნული იყო 24 დეკემბერს 10 საათზედ. ამ დროსთვის ბარალეთის სკოლის ეზოში შეიკრიბა აუარებელი ხალხი. მწყობრად დარიგდა ერთს მხარეზედ ჯარი თავის აფიცრებით და მეორე მხარეს მამასახლისნაცვლები, სოფლის მსაჯულნი, საპოლიციო დარაჯნი, მოხელენი, მასწავლებელნი, მებატონენი, მღვდელნი და გუბერნატორის ამალა. გუბერნატორი სვეჩინი სწორედ ათს საათზედ ავიდა თოვლის გორაზედ და ხმა მაღლა წაიკითხა მთავარმართებლის დეპეშა, რომლითაც ატყობინებდა გუბერნატორს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უწყალობა დაზარალებულთ 50,000 მანეთიო. შინაარსი დეპეშისა გარდასცეს შეკრებილ ხალხსა ა. მიქელაძემ და ს. გურგენოვმა. დეპეშის კითხვის დროს სრული სიჩუმე ჰსუფევდა, შემდეგ როცა გასაგების ენით მოისმინეს, ხალხმა იგრიალა და დიდხანს არ შეუწყვეტია თავისი სიხარული.

24 დეკემბერს წინადღის მუშაობას განვაგრძობდით, ე. ი. მშიერთ საჭმელს ვუმზადებდით, ტიტველთა ვმოსავდით, ავადმყოფთ ვუვლიდით და ჭრილობის შეხვევის შემდეგ ახალქალაქში ვგზავნიდით დუხაბორების მარხილებით, საცა მათთვის მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზადებული გვქონდა თავშესაფარი და საავადმყოფო.

ნაშუადღევს გავემართენით დაქცეულ ს. ბეჟანოს სანახავად. რის ვაივაგლახით მივაღწიეთ ს. კაჰიოს, ქვემოდ ვეღარ წავედით, რადგან თოვლი კერდამდე ადგებოდა ცხენებსა.

რადგან ს. ბეჟანოს ვეღარ ავიდოდით დიდის თოვლის წყალობით, გუბერნატორმა გარდასწყვიტა ს. ბარალეთ დაბრუნება. ვიდრე ამ თათბირში იყვნენ, ჭვიხელთე დრო, მარხილში დავტოვე ჩემი თანამოგზავრი ნავაგინის პოლკის პირველი ბატალიონის კამანდირი თ. ი. ი. მაჩაბელი და სოფელ კაჰიოში ჩავირბინე. მინდოდა მენახა ჩვენი ქართული ეკკლესია, ლამაზი და კოხტა თლილის ქვით ნაგები. ეკკლესია სოფლის შუაა გამოჭიმული პატარა სერზედ. ი. პ. როსტომაშვილის წიგნიდგან ვიცოდი, რომ ეკკლესიაში სამი ქვაა ზედ-წარწერით, მინდოდა მენახა, ხომ ჩამოცვივდა მეთქი ეს ქვები. გზაში ერთს გლეხს, სახელად სარქისას, წავავლე ხელი და ეკკლესიისაკენ წავიყვანე გზის მაჩვენებლად. ჩემდა საუბედუროდ, სარქისამ მხოლოდ სამი რუსულისა და ხუთიოდე ქართულის სიტყვის მეტი არ იცოდა, სომხურთან კიდევ მე გახლავართ მწყრალად. რას ვიზამდით, ავედით სერზედ, შევედით ეკკლესიაში, რომელსაც სახურავი აღარა აქვს, ბევრი ვეძებეთ მე და სარქისამ წარწერიანი ქვები, მაგრამ სიბნელესა და დიდის თოვლის წყალობით ვერა გავიგე რა. დიდად სცდილობდა საწყალი სარქისა ესიამოვნებინა ჩემთვის, ბევრი ეძება ჩამოცვივნულ ქვებში წარწერიანი, მაგრამ ვერას გახდა.

მადლობა გადაუხადე შრომისათვის სარქისას და ძირს ჩამოვედი. ორიოდე ნახევრად დანგრეულ მიწურებში შევირბინე და შემდეგ ჩემს თანამგზავრებს დავუბრუნდი.

აქ კინაღამ უბედურება დატრიალებულიყო. ადგილობრივმა მებატონემ ან. ი. ქანანოვმა სთხოვა გუბერნატორს და ამალას ცოტა შეესვენათ იმის ოჯახში, ხელ-ფეხი გაეთბოთ და თან დანაყრებულიყვნენ. მიწის-ძვრისაგან დახეთქილ ჩემს ქვითკირის სახლსაც ჰნახავთო რადგან ძალზედ შებინდდა და გზა დიდი გვქონდა გასავლელი, გუბერნატორმა მადლობა გადაუხადა ქანანოვს და წასასვლელად გაემზადა, ამალა კი ალაყაფის კარებისაკენ წავიდა იმ აზრით, რომ ორის წუთით შესულიყო სახლში. სწორედ იმ დროს, როცა კარის დირეზე შესდგეს ფეხი, შეირყა მიწა და გულგახეთქილნი ზოგი ეზოსაკენ გაქცეულიყო და ზოგი გზას გარედ გამოქცეულიყო. თვით ქანანოვი ისე შესჩვევოდა მიწის ძვრას, რომ აინუნშიაც არ ჩაუგდია ეს ამბავი, ღვინო გამოიტანა გარეთ და გულუხვად გაუმასპინძლდა მარხილებში მოკალათებულ სტუმრებს.

უცნაურადაა გაჩენილი ქართველი აზნაურიშვილი. ვგონებ, ლაპლანდიაშიაც რომ გადაასახლო, იქაც არ მოიშლის თავისს ბუნებრივს გულუხვობასა და პურ-მარილიანობას. თითქოს თირკმელები, ან ჰაჰა ჩასწყდაო, თუ სტუმარს უხვად არ გაუმასპინძლდა. მადლობა გადაუხადეთ პურად მემამულეს, მის მეუღლეს და ბარალეთს დავბრუნდით.

ს. ბარალეთში გუბერნატორმა დაარსა კომიტეტი, რომლის წევრებად არიან: ა. მიქელაძე, ს. გურგენოვი, მღვდლები ბერიძე და ტერ-კარაპეტოვი; თავმჯდომარედ დაინიშნა ადგილობრივი ბოქაული ბოგდანოვი. კომიტეტის მოვალეობაა შეკრიბოს ყოველ-ირი ცნობანი დაზარალებულთა შესახებ, თუ რამდენი ხალხი გასწყდა, რამდენი საქონელი დაიღუპა, რამდენი ზარალი მოუვიდათ ნივთიერად და სხვა. ყველა ეს ცნობანი უნდა მოხსენდეს ახალქალაქის კომიტეტს, რომელიც შესაფერს ღონისძიებას მიიღებს.

ახალქალაქის კომიტეტი მაზრის უფროსის ზისერმანის თავმჯდომარეობითაა დაწესებული ი. წევრებად იქმნენ არჩეულნი: პოდპ. კრაჟოვსკი, მდივანი ლუკასიანი, ხაზინადარი ი. ლაზარიაშვილი, გამომძიებელი ლიახოვიჩი, პოდპოლკოვნიკები: ქუთათელაძე, პენტკა, პოზოევი, ჩიჟი, პანკრატიევი, კაპიტანი უთნელიშვილი, ქალაქის მოურავი გრიგორიანცი, მკურნალნი: ბრონიკოვსკი, უსპენსკი, კაბაკოვი, კორსუნი და სარქისოვი; მებატონე მამად-ალიბეგი ფალავანდიშვილი და ვაჭარნი: მერგელოვი, არუთინოვი, ხაჩატუროვი, მორანტუევი, მალიკოვი, შახ-პარონოვი და მუტაფოვი. ქალთაგან აირჩიეს: ქ-ნი ზისერმანი და კნ. მ. ი. მაჩაბელი.

პირველი კრება კომიტეტისა მოხდა დილის 9 საათზედ საშობაოთ. ამ სხდომაზედ თავმჯდომარედ იყო თვით გუბერნატორი, რომელმაც განუმარტა, თუ რა უნდა აკეთოს კომიტეტმა და როგორი დახმარება და შემწეობა უნდა აღმოუჩინოს დაზარალებულ ხალხსა.

კომიტეტი ახალქალაქისა ექვემდებარება ტფილისის უმთავრეს კომიტეტს, რომლის თავმჯდომარედ თვით გუბერნატორია.

კომიტეტის სხდომა გათავდა თერთმეტ საათზედ და სუყველანი ეკკლესიაში წავედით წირვისა და პარაკლისის მოსასმენად. რადგან გუბერნატორი ჰშიშობდა, ვაი თუ მიწა იძრეს და ხალხით გაჭედილი ეკკლესია დაინგრესო, ამისათვის ეკკლესიაში არავინ შეუშვეს. საშობაო პარაკლისი მოძღვარმა ჩიტაძემ ეკკლესიის გალავანში გარდაიხადა. გარდახდილ იქმნა აგრეთვე პარაკლისი უბედურობის თავიდგან ასაცილებლად.

საღამოს, 25 დეკემბერს ხელ-ახლად დავათვალიერეთ ავადმყოფნი. დილით, 26 დეკემბერს, გამოვემგზავრეთ ტფილისს, სადაც 27 დეკემბერს დილით ჩამოვედით. ლეღმა იყო, გზა ატალახდა და ლაზათიანად მოვილანგენით ტალახით. ამავე დღეს მოხდა კრება ტფილისის უმთავრესის კომიტეტისა.

დღემდის დაზარალებულთა სასარგებლოდ შემოვიდა 130,000 მან.

ახალქალაქს გუბერნატორმა დროებით დასტოვა მკურნალი ი. ბარამიშვილი ავადმყოფების მოსავლელად და გეოლოგი ვებერი, რომელსაც შეძლებისამებრ უნდა გამოეკვლია მიწის-ძვრის ხასიათი და მისი მიმართულება.

ა. ყიფშიძე

## ბ-ნ ექიმ ვახტანგ ლამბაშიძეს პასუხად.

(დასასრული *)

ამ პასუხიდგან ცხადად დაინახავთ, რომ მე თქვენ შესახებ ცუდის აზრისა არა ვყოფილვარ და ვიდრე საჩივარი არ აიხსნა, მე თქვენ იმ მზაკვრულის მოწმობის „ავტორი" არ მგონებიხართ. აი ის პასუხი: „ბესარიონ გეწაძე ყოფილა ფერშალ ივანოვთან ათს აგვისტოს და უთხოვნია ხუთის დღით მუშაობისაგან თავისუფლება ყურის ავადმყოფობის გამო. ივანოვს, რომელსაც ისეც კანონით აქვს აღკრძალული მოსამსახურეთა განთავისუფლება ექიმის დაუკითხავად, არ უცვნია გეწაძე ავადმყოფად, ჩაუსხამს ყურში გამთბარი ქაფურის ზეთი და გაუშვია. მესამე დღეს გეწაძე კიდევ მისულა ივანოვთან და მოუთხოვნია განთავისუფლება სამსახურისაგან, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ივანოვს უარი უთქვამს და ურჩევია ჩემთან მოსვლა. (როგორც ყველა მოსამსახურემ იცის ჩემს რაიონში, მე ყოველ ორშაბათობით მივდივარ ხოლმე უგვირილაში, სადაც ვღებულობ ავადმყოფებს). ათი აგვისტო ის დღე იყო, როდესაც მე იქ ვიყავი და როდესაც გეწაძეს, რომელსაც „ბილიეტენი" იმ დღეს იქვე აძლევს გზის ოსტატისაგან, ადვილად შეეძლო ჩემთვის მოემართა ავადმყოფობის შესახებ, თუ მას მართლა წამლობა უნდოდა და არა მხოლოდ თავისუფლება „ბილიეტენით". თორმეტს აგვისტოს-კი ის ჩამოვიდა ჩემთან ქუთაისს და შევამოწმე. მტკივანის ყურის დაწვრილებითმა გამოკვლევამ ცხადად დამანახვა, რომ გეწაძეს არავითარი საყურადღებო ავადმყოფობა არ ემჩნეოდა და იმას კიდეც არ უხსენებია ჩემთან მწერის ყურში ჩაძრომა. რადგან გეწაძე საზოგადოდ ჯანმრთელი იყო, არა ჰქონდა არც საზოგადო და არც ადგილობრივი სიცხე, მისი ყურის ლარი სუფთა იყო, სმენა კარგი ჰქონდა; მე იგი ვიცანი ავად ყურის „ნეირალგიით" დავუნიშნე ყურის გამორეცხვა თბილის წყლითა და „კაპლები" ყურში ჩასასხმელად (კოკაინი გლიცერინში გახსნილი). ყოველისავე ამის საბუთებს აქვე გგზავნი: ერთს ნაჭერს „ბილიეტენისას" და აღმოწერილობას საქმით დავთრიდგან (правдивая книга)".

„როგორც სჩანს გეწაძის საჩივრიდგან, იმას მწერი უნდა ჩაძრომოდეს ყურში 5 აგვისტოს, მაგრამ ათამდის არ აწუხებდა(!); ათს-კი გამოუცხადა ივანოვს თავისი ავადმყოფობა და მოსთხოვა უფრო განთავისუფლება, ვიდრე შველა და როდესაც ორჯელ უარი მიიღო, წამოვიდა ჩემთან ქუთაისს და მოვიდა საღამოზედ თორმეტს აგვისტოს (მე ვიღებ მოსამსახურეთ საღამოს ექვს საათიდგან 8-მდის, რადგან ამ დროს მოდის ქუთაისს რკინის გზის მატარებლები ტყიბულიდგან და უგვირილიდგან), მოწმობა-კი აქვს მიცემული ყვირილაში იმავე თორმეტ აგვისტოს, თუმცა-ღა თავისს საჩივარში ამბობს, რომ იგი იძულებული იყო იმის შემდეგ მიემართა კერძო ექიმისათვის, როდესაც მეც ვერ ვარგე ჩემის პატარა „კაპლებითა". ექიმის მოწმობაში ნათქვამია, რომ გეწაძე იყო ბ-ნს ლამბაშიძესთან თორმეტს აგვისტოს, ავად გახდომის მეშვიდე დღეს, ყურის სკრელის „კატარალურ" ანთებითა და გარეშე სხეულით ყურში. ყოველსა ამას, ამბობს ბ-ნი ლამბაშიძე მოწმობაში, გამოუწვევია უკიდურესს მდგომარეობამდის ავადმყოფობა და მიუყენებია მისთვის მრავალი და ძლიერი ტკივილი, რაიცა არის აუცილებელი შედეგი თავის დროზედ უექიმოდ და უყურადღებოდ ავადმყოფის დატოვებისაო".

„ხრონოლოგია ამ მოწმობისა ერთობ არეულია და მოითხოვს ცოტა გამორკვევას ჩემის მხრით. თორმეტი აგვისტო არის სწორედ მეშვიდე დღე გეწაძის ავადმყოფობისა; თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ის მართალს ამბობს და მწერი შეუძვრა ყურში 5 აგვისტოს. ამ თორმეტ აგვისტოს ეს კაცი იყო ჩემთან ქუთაისში, როგორც სჩანს აქ წარმოდგენილის საბუთის ქაღალდებიდგან („ბილიეტენის" ნაჭრიდგან) და ავადმყოფობა მე ვერ შევამჩნიე. ყვირილაში-კი მისი დაბრუნება შეუძლებელი იყო 13 აგვისტოს დილამდის და მეტადრე მოწმობის მიღება ბ-ნ ლამბაშიძისაგან, რომელსაც არა თუ გარეშე სხეული ამოუღია ყურის სკრელიდგან, კატარისთვისაც უექიმნია რამდენჯერმე ყურის გამორეცხვით. ეს ურიგო „ხრონოლოგია" და აგრეთვე ეს ურიგო მოწმობა, რომელსაც უფრო საბრალმდებლო ოქმის ხასიათი აქვს, მაიძულებს ზოგიერთი ეჭვი გამოვთქვა ამ საქმის შესახებ".

„ჩემგან და ჩემის ფერშლისაგან რომ ვერ მიიღო გეწაძემ გასამართლებელი საბუთი სამუშაოზედ გამოუსვლელობისა, რისთვისაც იმას გზის ოსტატმა ჯარიმა დაადო თურმე, განუზრახავს ავადმყოფობის მოწმობის შოვნა კერძო ექიმისაგან და მით თავის გამართლება, მაგრამ, როგორც ეტყობა მისგან წარმოდგენილს მოწმობას, ეს ვერ მოუხერხებია. მე დავეკითხე გეწაძის თაობაზედ გზის ოსტატს და იმან მომწერა „ოფიციალურად" შემდეგი: „გეწაძე ძლიერ უხეირო მუშა არის, მუდამ იგონებს სხვა-და-სხვა მიზეზს, რომ მუშაობა თავიდგან აიცილოს და თან დიდი „კლიაუზნი" ხასიათის კაციც არისო. ამის დასამტკიცებლად შემიძლია მოგახსენოთ, რომ მან ერთის წლის წინად შეიტანა საჩივარი ჟანდარმთან განსვენებულ სავანელზე (ანგარიშის მწარმოებელი იყო მესამე ნაწილისა) ვითომც მას ჯამაგირის დარიგების დროს ფული დაეკლოს. გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მისი საჩივარი სრულიად უსაფუძვლო იყოო. იმავე ოსტატისაგან შევიტყე, რომ გეწაძე იმის შემდეგ, რაც მოწმობა ეშოვნა, ძლიერ გვემუქრებოდა თურმე მე და ჩემს ფერშალს".

„ოჯახში თითო მახინჯი არასოდეს არ გამოილევაო, ამბობენ და მგონია გეწაძე უნდა ეკუთვნოდეს იმ გვარ ხასიათის კაცს, რომელსაც შრომა არ უყვარს და სამსახურში იოლად უნდა გამოვიდეს და რადგან ამ გვარ კაცს თავისი არ გაუვიდა და მისი ავადმყოფობა კანონიერად ვერ იცნეს და თან ჯარიმაც დაადვეს, მოინდომა ავადმყოფობის მოწმობის საშუალებით თავის გამართლება და ამისათვის შეეძლო მას ყოველივე საგლახე ჩაედინა ექიმის მოსატყუებლად, თუ-კი გაუვიდოდა. მე-კი ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი მისგან მოწმობა ექიმის ნაწერი არ უნდა იყოს, რადგან იგი იმდენად უმეცრულის ენითაა დაწერილი და თან მზაკვრული მიმართულებითაა სავსე, რომ უფრო ადვილად წარმოსადგენია, ის იყოს ნაწერი ვინმე მაწანწალა „ადვოკატისაგან", ვიდრე განათლებულის და გონება განვითარებულის ექიმისაგან. გთხოვთ მაზრის უფროსის საშუალებით შეიტყოთ, მართლა ეს მოწმობა ბ-ნს ლამბაშიძეს მიუცია თუ არა? შემდეგ შეგიძლიანთ დამავალოთ დამტკიცება ჩემი სიმართლისა და მოწმობის სიყალბისა. ამასთანავე ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მე ოცი წელიწადია ექიმი ვარ და არასოდეს არ მინახავს, რომ მაგ გვარი მოწმობა ექიმს ვისმესთვის მიეცეს. ბ-ნ ლამბაშიძესთან მე პირადი ნაცნობობა არა მაქვს, ვიცი მხოლოდ, რომ დიდი ხანი არ არის, რაც იგი ყვირილაში ჩამოვიდა, და არ შემიძლიან დავიჯერო, რომ იმან იკადროს სრულიად უსაფუძვლოდ უცნობის ამხანაგის გალანძღვა „ოფიციალურ" მოწმობაში და ისეთის უშვერის ენით, რომლითაც მოწმობა არის დაწერილი".

„ამასთანავე უნდა მოგახსენოთ, რომ ამ გვარი უსაფუძვლო საჩივრები, როგორც წარმოუდგენია გეწაძეს, ჩემს მოქმედებას იმ ასპარეზზედ, სადაც მე ვშრომობ ამდენი ხანია, ჩირქს ვერასოდეს ვერ მოსცხებს. ვწუხვარ მხოლოდ იმისთვის, რომ უსაფუძვლო მიწერ-მოწერა დროს მაკარგვინებს და ზნეობრივს უკმაყოფილებას იწვევს ჩემში. რადგან საქმე საჩივრამდე მივიდა, ვთხოულობ თქვენგან დაწვრილებით გამოკვლეულ იქმნეს ეს საქმე და დამნაშავე სასტიკად დაისაჯოს. ამით შეიძლება სურვილი მზაკვრობისა დაეკარგოს იმათ, ვისაც პატიოსანი შრომა და მოღვაწეობა დავიწყებია, სინდისი დაუკარგავს და უსაფუძვლო საჩივრები დაუწყია".

ეს გახლდათ ჩემი პასუხი გეწაძის საჩივრისა. აქედგან თქვენ, ბ-ნო ვახტანგ, ცხადად დაინახავთ, რომ აზრადაც არ მომსვლია, რომ თქვენთვის დამედო ბრალი, როგორც „ავტორისათვის" იმ „კლიაუზნურ" მოწმობისა, რომელიც საქმეში არის. ან რად გიკვირთ, რომ მე, რომელსაც იმ დროს თქვენი პირადი ცნობა არა მქონია, მოვინდომე შემეტყო მაზრის უფროსის საშუალებით: თქვენ იყავით „ავტორი" მოწმობისა, თუ სხვა ვინმე, ვისაც მზაკვრობა ხელობად გაუხდია? ვიდრე ეს მიწერ-მოწერა სწარმოებდა ჩემსა და უფროსს ექიმს შუა, მოწერილობა მომივიდა ბ-ნ უფროს ექიმის სახაროვისაგან 15 იანვარსა 1899 წ. № 218, რომელშიაც მწერს, რომ მაზრის უფროსის საშუალებით შეტყობა იმისი, თუ მოწმობა ვისი დაწერილია, საჭირო აღარ არისო, რადგან ბ-ნმა ლამბაშიძემ გამომიგზავნა თხოვნა, *) რომ დავნიშნო რკინის გზის „უჩასტკის" ექიმად და ამ თხოვნის ხელი რომ შევადარე მოწმობის ხელს, ცხადად დავინახე, რომ მოწმობა ბ-ნ ლამბაშიძისაგან არისო დაწერილი.

ამას შემდეგ კი ჩამივარდა ენა და აღარ ვიცოდი, რა მეფიქრა თქვენსა და თქვენ დიდ მოღვაწეობის შესახებ, რომლის გამოც მრავალ რასმეს გვაუწყებდა ხოლმე მამა თქვენის ჟურნალი „მწყემსი". ვამჯობინე ამაზედ ლაპარაკის მოსპობა და დავუჯერე ჩემს ახლო მეგობრებს—ექიმებს, რომელთაც თქვენი მოწმობა და გეწაძის საჩივარი წავაკითხე, —რომ თქვენ ამ გვარის მოწმობის მიცემა გამოუცდელობით მოგსვლიათ.

რაც შეეხება თქვენს გულმტკივნეუ-

*) იხ. „ივერია" № 19.

*) ჩემდამო მომართულს ღია წერილში უარს რად ამბობთ, რომ რკინის გზაზედ სამსახურის შესახებ თხოვნა არ შემიტანიაო?!.

ლობას მდაბიო ხალხის მიმართ და ზნეობრივს თქვენს მოვალეობას ყოველ ამ გვარ შემთხვევაში შემწეობის აღმოჩენისას, ამის გამო დაზარალი საშიშრო არ არის, რადგან თითქმის ოცის წლის განმავლობაში ვშრომობ ქუთაისის გუბერნიაში და თუ აქამდის ზნეობით მახინჯი კაცი, მდაბიო ხალხის მჩაგვრელი, სულით და გულით ღატაკი, მაშინ თქვენი ქადაგება მე ვეღარ გამასწორებს და ისევ სჯობია ბოლომდის შევინახო ის ხასიათი, რაც აქამდის მქონია.

დასასრულ რამდენისამე კითხვით უნდა მოგმართოთ და იმედი მაქვს პასუხს მიბოძებთ.

1, ნუ თუ მართლა გგონიათ, რომ ქართველი მუშა ვერ იცრუებს და არც კადმეოთუობის მოგონებას იკადრებს, თუ კს ფრაზები დაგიწერიათ ბავშვების გულის მოსაგებად?

2, ნუ თუ მართლა გჯერათ, ამ ღარიბს და პატიოსანს მუშას, როგორადაც თქვენ გიცვნიათ იგი, თხუთხმეტი მანეთი მისი ერთის თვის ჯამაგირი გამოართვით უურის გამორეცხაში, როგორც ის ჩემს მთავრობასთან სჩივის და ჩემგან ამ ფულის დაბრუნებას თხოულობს, თუ ჩვეულებისამებრ სტუუის გეწამე და თქვენ-კი სრულიად უსაფუძვლოდ და გულმტკივნეულად თქვენის თავისა და ჩემი ჯვარცმა მოინდომეთ?

3, რისთვის და ვისთან წასარდგენად შეინახეთ გეწამის ყურიდგან გამოღებული მწერი?

4, რითი ჰხსნით იმ გარემოებას, რომ ვიდრე მწერი ცოცხალი იყო გეწამის ყურში და ფართხალობდა, არ აწუხებდა, როცა მოკვდა და დაიხსნა ნაწილ-ნაწილად ისე, რომ გამოცნობაც ვერ შესძელით, მაშინ სასტიკი და აუტანელი ტკივილი აუტყდა გეწამეს?

5, ესეც მიბრძანეთ, ეხლა მაინც გამოცნობილი გყავთ ის მწერი, თუ არა? ჩვენებურია ეგ მწერი, თუ ტროპიკის ქვეყნიდგან მოფრენილი?

ნუ გეწყინებათ-კი ეს ჩემი მოხსენება და ამ მწერის ამბავი მაგონებს ერთს მველს მაზრის უფროსს, ჩვენებურსავე კაცს. ამ ოცის წლის წინედ ოსმალეთთან ომის დროს მან მოახსენა გუბერნატორს, რომ ჩემდამო რწმუნებულს მაზრაში ერთი მლიერ საეჭვო და საშიში კაცი დავიჭირეო. ის არის თეთრი არაბიო და არც ერთს ქვეყნიურს ენაზედ არა ჰლაპარაკობსო, და ამიტომ გთხოვთ თარჯიმანი გამომიგზავნოთო“.

Dixi et animam laevav.

ექიმი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.

---

## დამავკუროდა

კაცსა დიდს იშვიათ მიეტევების ცთომილება და პატარას-კი ხშირად.

ლასურიძე

* * *

თავის შემაგრება და ვნებათა ალაგმვა იგივე მამაცობაა.

სამუელ სმ ილსი

* * *

დედაკაცსა და მთვრალს კაცს ცრემლი იაფად უღირს.

რუსული ანდაზა

---

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

თუ სადამდე მიაღწევს სიძულვილი ადამიანისა, შემდეგის მაგალითიდგანა სჩანს. ამას წინად ნეაპოლში გარდაცვლილა ახალგაზდა გრაფინია ჯუზეპინა ნაპოდანი. რამდენისამე დღის წინად გარდაცვალებამდე, გრაფინიას უთქვამს მახლობელთათვის, მინდა ამ სიკვდილის დროს შევურიგდე და გამოვეთხოვო კიდეც კონსეტტა ბაიოს. ეს ბაიოც ახალგაზდა ქალი ყოფილა. კარგა ხანია თურმე, რაც ბაიო და გრაფინია გადამტერებულან და ერთმანეთს ხმას აღარა სცემდნენ. ბაიო მაშინვე გაქანებულა ავადმყოფთან და გახარებული შევარდნილა იმის ოთახში. მაგრამ როდესაც საკოცნელად დაწეულა მჭოლარესთან, ეს უკანასკნელი ცხვირში წასწვდომია და ნახევარი ცხვირი მოუკვნეტია. როდესაც დაჭრილი ბაიო სხვა ოთახში გაუყვანიათ, გრაფინიას სიხარულით წამოუძახნია: „ეხლა აღარაფერი მაწუხებს; მოსვენებით შემიძლიან მოვკვდე“-ო. რამდენისამე წუთის შემდეგ გრაფინია გარდაცვლილა.

* * *

ამას წინად ქალაქ ბომბეის ცირკში შემდეგი უბედურება მომხდარა. ცირკის პატრონს, სხვათა შორის, შხამიანი გველებიცა ჰყოლია. ეს გველები იმითი იყვნენ შესანიშნავი, რომ არც ერთს მათგანს შხამიანი კბილები არა ჰქონიათ ამოცლილი. ცირკშივე მსახურებდა თურმე ერთი ახალგაზდა ლამაზი ინდოელი ქალი, რომელიც გველებს ამშვიდებდა. ერთ საღამოს ცირკი ხალხით ყოფილა გატენილი. ცირკის მოედანზედ გამოუტანია დიდი ტყავის ტომარა, რომელშიაც გველები ყოფილან დამწყვდეული. მოედანზედვე გამოსულა ინდოელი ქალი და სალამური დაუკრავს; მალე სალამურის ხმაზედ ტომრიდგან უზარ-მაზარი გველები გამოცოცებულან. რაც ხანი ქალი სალამურს უკრავდა, გველები მხიარულად დაცოცავდნენ მოედანზედ და, თითქოს ცეკვაობენო, ქალს გარეშემო უვლიდნენ თურმე. შემდეგ ქალს სალამურისთვის თავი გაუნებებია და მაგრა დაუსტვენია. იმ წუთსავე გველებს თავები მაღლა აუღიათ და ქალის ტანზედ შეცოცებულან; ზოგი ყელზედ შემოხვევია, ზოგი წელზედ, ზოგი ხელზედ, ასე რომ ქალი აღარცკი მოჩანდა თურმე. პატარა ხანი ასე გაჩერებულა ქალი, მალე ისევ სალამური დაუკრავს, რომლის ხმაზედაც გველები ნელ-ნელა ჩამოცოცებულან და თავიანთ ტომარაში შემძვრალან. მხოლოდ ერთი გველი არ გაჰყოლია სხვებს და იქვე ქალის ფეხთით დარჩენილა. უეცრად გველი აწეულა და ზედ შეჰხტომია ქალს, მაგრამ ამ უკანასკნელს უტაცნია ხელი და მიწაზედვე დაუდვია. საზოგადოება ტაშის ცემით მიჰგებებია მამაც ქალს და მრავალი ვარდები გადაუყრიათ მოედანზედ. ქალი დახრილა ერთის ვარდის ასაღებად, მაგრამ ამ დროს მოკუმშული გველი ხელ-ახლა მიჰვარდნია და თავისი შხამიანი კბილი ქალისთვის მაგრა ჩაუყრია თითში. ქალის კივილზედ ცირკის მოსამსახურენი გავარდნილან, მაგრამ გვიანღა ყოფილა: შხამს უკვე მოეწამლა სისხლი. რამდენისამე წუთის შემდეგ ახალგაზდა ქალი იქვე ვარდებზედ მწოლარე გარდაცვლილა საზოგადოების თვალ-წინ.

* * *

ჭლექით თევზებიცა ხდებიან თურმე ავად. აქამდის მეცნიერებს ეგონათ, რომ ჭლექის ბაცილა თევზს ვერაფერს დააკლებს, რადგან თევზი ცივის სისხლის პატრონიაო, მაგრამ უკანასკნელმა გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ჭლექის ბაცილა ისევე ერევა თევზს, როგორც ადამიანს. ერთს აუზში, სადაც თევზები ჰყოლიათ, ჭლექიანის ნახველი ჩაუგდიათ. შემდეგ მიკროსკოპის შემწეობით გაუსინჯიათ თევზები და უნახავთ ტუბერკულეზის ბაცილები. ამ აუზში მყოფი თევზები თითქმის სულ ამოწყვეტილან.

---

## გამოსადეგი ცნობა

საუკეთესო სახამებელი ასე მზადდება: ერთს ბოთლს წყალში ჩაჰყარეთ ერთი საშმლის კოვზას ოდენი ხორბლის სახამებელი და როდესაც ჰხარშავდეთ, შიგვე ჩაათალეთ ერთის სათითის ოდენა კართოფილის სანთელი. როდესაც გაახამებთ თეთრეულს, გააშრალეთ, მერე ისევ ჩაასველეთ სახამებელში, რომელსაც 'ამ ჯერად' ცოტა სპირტიც მიუმატეთ და ისე დაუწყეთ დაუთოვება, რომ ჯერ სრულიად არ იყოს შემშრალი.

---

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 იანვარი.

**კაპშტადტი.** ნაუპორტიდგან დეპეშით იუწყებიან: „აქ, რენსბურგსა და როდეში, დიდი მოძრაობაა, რაიცა იმან გამოიწვია, რომ ძლიერი ქვეითა ჯარია გაგზავნილი ნორვალსკის ხიდის დასაჭერად“.

შემდეგ კაპშტადტში ამბავი მოვიდა, რომ ბურებს კოლსბერგში მართლა გარს შემოერტყნენო.

21 იანვარს კრიუგერმა და შტეინმა რობერტსს შეუთვალეს, რომ წინააღმდეგობას ვაცხადებთ იმის გამო, რომ ინგლისელებმა სახლები დაანგრიეს და ადგილები გაანადგურესო. რობერტსმა განაცხადა, რომ ბრალდება უსაფუძვლო და განუსაზღვრელი არისო.

**პრეტორია.** 16 სექტემბრის დადგენილების თანახმად, რომლითაც მთავრობას უფლება მიეცა სამხედრო გარდასახადი გაეწესებია, ამ ჟამად შეუდგნენ ამ გარდასახადის აკრეფას. რუსეთის სასანიტარო რაზმი ამ დღეებში ფოლკსრუსტში აპირებს წასვლას.

**ვენა.** დღეს პირველი სხდომა ჰქონდა იმ კონფერენციას, რომელიც მთავრობამ მოიწვია ერთგვნულ განხეთქილების მოსასპობლად ბოჰემიასა და მორავიაში.

**ვაშინგტონი.** გარეშე საქმეთა სამინისტროში მინისტრმა გეიმ და ბრიტანიის ელჩმა პაუნსეფოტმა ხელი მოაწერეს ინგლისსა და შეერთებულ შტატებს შორის დადებულ ხელშეკრულობას, რომელიც სცვლის ბულვერში დადებულს ხელშეკრულებას, რამდენადაც ის ეხებოდა ნიკარაგუანის არხს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. უილიამ რედმონდმა იკითხა: აზრად ხომ არ აქვს ბალფურს რაიმე საბუთის ქაღალდები წარმოადგინოს და გვაცნობოს რაიმე სამთა კავშირის შესახებ ინგლისსა, ამერიკასა და გერმანიის შორის, რაზედაც ჩემბერლენი ლაპარაკობდა ლესტერში 1899 წ. ნოემბერშიო. ბალფურმა უპასუხა, რომ ჩემბერლენს ამ გვარი რამ არაოდეს არ ულაპარაკნიაო. გარკორტი ამტკიცებდა, რომ ეხლანდელი ომი იმის შედეგია, რომ 1881—1895 პოლიტიკას თავი დაანებეთო. საუბედუროდ, მთავრობამ მიჰმართა ისეთ კაცებს, რომელთაც კავშირი ჰქონდათ ჯემსონის გალაშქრებასთან და ეს იყო ომის უმთავრესი მიზეზიო. ბურების ხასიათი და ენერგია ამ ხალხისა, რომელიც თავისუფლებას იცავს, კარგად ვერ დააფასეთო. გარკორტმა მოითხოვა, რომ ხელ-ახლა დაინიშნოს სამხრეთ აფრიკის კომისია იმის გამოსაკვლევად, რომ ჯემსონის გალაშქრებაში მთავრობას მონაწილეობა არ მიუღიაო. ორატორი ამტკიცებდა, რომ ეხლა ომი უნდა განვაგრძოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდისინო. ჩემბერლენმა პასუხი მისცა. იმან წინააღმდეგობა განაცხადა გარკორტის სიტყვის კილოს გამო, რომელიც უდიერად მიიჩნია ქვეყნის ეხლანდელ მდგომარეობის მიხედვით და სურვილი გამოაცხადა, რომ ომი ჩვენდა სასარგებლოდ გათავდესო. ორატორმა უსაყვედურა გარკორტს, რომ ის საბუთს აძლევს ხელში იმათ, რომელნიც სტკბებიან ინგლისის დამარცხებითო. ჩემბერლენმა განაგრძო მტკიცება და სამინისტრო დაიცვა უწონებლად, რომ ომი სამართლიანია და საჭიროთ ინგლისსა და ტრანსვაალის შორის ატეხილს დავას არსებითი მნიშვნელობა აქვს და იგი 1881 წლიდამ არსებობდაო. ჯემსონის გალაშქრება და თათბირი ბლემფონტეინში ამომრჩეველობის უფლების შესახებ მიზეზები კი არა ყოფილა, არამედ განცალკევებული მოვლენანი იყოვო. ქვეყანა თხოულობს, ომი გულს მოდგინეთ განვაგრძოთ. რამდენიმე კვირის განმავლობაში სამხრეთ აფრიკაში 200,000 ჯარის კაცი გვეყოლება. ყოველივე ღონის ძიება უნდა ვიხმაროთ, რათა ჩვენის თავის დასაცველად ისე ვიყოთ შეიარაღებული, როგორიც ძვირად უნახავთ ოდესმეო.

**კაპშტადტი.** რობერტსი, რომელმაც უპასუხა კრიუგერს და შტეინს, რომელნიც წინააღმდეგობას აცხადებდნენ იმის გამო, რომ ინგლისელებმა ადგილ-მამული გაანადგურესო, შემდეგ ამბობდა, რომ ვსწუხვარ იმის გამო, რომ ორთავე რესპუბლიკის ჯარის კაცებმა დაარღვიეს განათლებული ერის ჩვეულება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ყველა ადგილებში, რომელთაც-კი შეესივნენ, დედოფლის ერთგული ქვეშევრდომნი სახლებიდგან გარეკესო. მეცადინეობა, რათა ხალხს ძალა დაატანონ თავისის დედოფლისა და ქვეყნის წინააღმდეგ იბრძოლოს, — ბარბაროსების საქმეაო.

---

## შემოწირულება

ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ რედაქციამ მიიღო არმუთინის სამრევლო მღვდლის მ. იოანე კახაიასაგან თავისს მრევლში შეკრებილი 7 მან. 30 კაპ. შემომწირველთა სია: ი. პოპა ნიკოლაევმა შესწირა—50 კაპ., პავლე ნიკოლაევმა 1 მ. 50 კაპ., ქ. ბეკეჩროვმა 1 მ., იოანე პოპოვმა 1 მ., ი. სავოვმა 50 კაპ., ნ. პოპა ნიკოლაევმა 50 კაპ., ი. პანტელეევმა 20 კაპ. ა. დჟაფაროვმა 15 კაპ., ი. გრიგოროვმა 20 კაპ., პ. ტუჩკოვმა 10 კ., ნ. ტუჩკოვმა 10 კ., სტ. საგუროვმა 10 კაპ., პარ. დემურჩევმა 5 კ., პ. დაგდალანოვმა 15 კ., გ. იოანიდმა 15 კ., პავ. დემუროვმა 20 კ., დ. იასონოვმა 50 კ., დესპინე დემურჩევმა 20 კაპ., ა. პოპა ნიკოლაევმა 20 კ. და ამას გარდა ხემოჩიბათის წმ. გიორგის ეკლესიის მღ. მ. მოსე ჯორბენაძისაგან შეკრებილი 1 მან. 90 კ., მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ რედაქციას აქვს მიღებული 498 მ. და 92 კაპ. და ამიანად კი სულ 507 მან. 12 კა.

---


## განცხადებანი

**დაიბეჭდა ცალკე წიგნად და იყიდება** ქართულ წიგნის მაღაზიებში ესპანიური მოთხრობა

„ლაზარილიო ტორმესელი“

თარგმნილი პეტრე უმიკაშვილის მიერ. წიგნი ორ შაურადა ჰღირს.

(3—უ.—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,** რომ ამა 1900 წლის 3 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ქალაქის მიწის ნაჭერი. ეს მიწა მდებარეობს მე-7 ნაწილში, მახათის გორის და მარტყოფის გზის შუა; ზომით 237 დესეტინა. ამ ადგილში გაჯია. მსურველთ პირობები გამგეობის მე-4 განყოფილებაში შეუძლიანთ გასინჯონ ყოველდღე 9 დგან 2 საათამდე. (3—ნ.—3)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს,** რომ ამა 1900 წლის 1 თებერვალს, შუადღის 12 საათზედ, გამგეობის თანადასწრებით, დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

რომელზედაც იჯარით გაცემული იქმნება ხუთი ნაჭერი ქალაქის მიწისა. ეს მიწები მდებარეობს მე-10 ნაწილში „ლოტკის-გორაზედ“. პირობები მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე 9-დგან 2 საათამდე.

(3—ნ.—3)

პუშკინის ფოტოგრაფია

**ა. ს. ნოდელშეილისა,**

რომელიც 1892 წლიდან 1899 წლამდე [illegible] ფოტოგრაფიის განმგებლად,

[illegible]

(30—44—6)




(50—267—2)

**სტეფანე ბულიევის**

**მაუდის მაღაზია,** რომელიც ამ ჟამად დახურულ ბაზარშია, 1 თებერვლიდგან გადადის შადინოვის ქარვასლაში ძმ. მილოვების პირდაპირ. (5—252.—3)